განცხადება
სს გეს „საქრუსენერგო“ გიწვევთ ფასთა გამოკითხვის (კონკურსის) პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად

(შესყიდვის ობიექტი: სს გეს „საქრუსენერგოს“ ელექტროგადამცემ ხაზებზე საექსპლუატაციო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებელად საჭირო მასალა-მოწყობილობები)

ქ.თბილისი 19 თებერვალი 2021 წ.

1. სს გეს „საქრუსენერგო“ შემდგომში “შემსყიდველი” ფლობს სახსრებს მითითებული საქონლის შესყიდვისთვის. ეს სახსრები გამოყენებული იქნება ამ პროცედურის ჩატარების შედეგად დადებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად. შემსყიდველი პასუხისმგებელია აღნიშნული პროცედურის შესაბამისად დადგენილი წესით განხორციელებაზე, უფლებამოსილია შეარჩიოს მოსაწვევი პირები, შეაფასოს მათი განაცხადები და გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 10 დღისა დადოს მასთან შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი გიწვევთ ფასთა გამოკითხვის (კონკურსის) პროცედურაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი განაცხადი შემდეგი დოკუმენტებისა და ფორმების მიხედვით:

ა) განცხადება მონაწილეობაზე (ფორმა N2);

ბ) ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის, ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ (ფორმა N3);

გ) გადახდა განხორციელდება საქონლის მიწოდების და შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 კალენდარული დღის ვადაში, დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორებაც.

დ) ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში იგი არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 30%-ს. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო გარანტია (სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტია არ მიიღება) მოთხოვნილი ავანსის შესაბამის ოდენობაზე რომლის მოქმედების ვადა 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას .

ე) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 საბანკო დღის განმავლობაში წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელსეკრულების ღირებულების 3,5%-ს (სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული გარანტია არ მიიღება) ოდენობით. რომლის მოქმედების ვადა 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას.

ვ) პრეტენდენტს უფლება აქვს წინადადება წარმოადგინოს როგორც ერთ ასევე რამდენიმე ლოტზე ერთდროულად, პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს მითითებულ კრიტერიუმებს და უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი ინფორმაცია და მათი დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

- ცნობა რომ არ ერიცხება დავალიანება ბიუჯეტის წინაშე;
- ცნობა რომ ქონებას არ აქვს დადებული ყადაღა;
- ცნობა რომ არ მიმდინარეობს კომპანიის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია;

ზ) მიწოდებულ საქონელს თან უნდა ერთვოდეს ლოტების მიხედვით მოთხოვნილი სერთიფიკატები: წარმოშობის ან/და ხარისხის ან/და შესაბამისობის .

3. განაცხადი უნდა წარმოადგინოთ დახურულ კონვერტში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მარკ ბრონშტეინის N1, სს გეს „საქრუსენერგო“-ს შესყიდვების სამსახური.

4. განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2021 წლის 24 თებერვლის 16 საათი. აღნიშნული ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადი არ განიხილება.

5. განაცხადები შეფასდება 2021 წლის 24 თებერვალს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მარკ ბრონშტეინის N1, სს გეს „საქრუსენერგო“.

6. განაცხადი წარდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე მე-3 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

7. ფასები შემოთავაზებულ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში ***(სხვა ვალუტაში წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება***) და მოიცავდეს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს მათ შორის დრგ-ს;

8. მიწოდება უნდა განხორციელდეს მიწოდების ვადის და შემოთავაზებული ფასის შესაბამისად.

9. განაცხადი ძალაშია მინიმუმ 30 კალენდარული დღის განმავლობაში მისი წარდგენის დღიდან.

10. შემოსული განაცხადის შეფასება იწარმოებს „ტექნიკური შესაბამისობის, ფასებისა და მიწოდების გრაფიკის” ფორმის მიხედვით. განაცხადი, რომელიც არ შეესაბამება მე-2 და მე-3 პუნქტში აღნიშნულ პირობებს და შესყიდვისთვის განსაზღვრულ თანხობრივ პარამეტრს იქნება უარყოფილი, როგორც ფასთა გამოკითხვის (კონკურსის) პროცედურისთვის შემუშავებულ მოთხოვნებთან შეუსაბამო.

11 გამარჯვებულად მიიჩნევა და შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება დაიდება შემსყიდველ ორგანიზაციასა და იმ პრეტენდენტს შორის, რომელმაც წარმოადგინა უმცირესი ფასი და რომელიც აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

მსურველებს შეგიძლიათ წარმოადგინოთ თქვენი შემოთავაზება როგორც ერთ ასევე რამდენიმე ლოტზე ცალ-ცალკე ლოტების მიხედვით.

საქონლის ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის ყველა ხარჯს მათ შორის დღგ-ს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტ. 595 95 70 70 595 00 33 33

განცხადება მონაწილეობაზე

ფორმა N2

ფასთა გამოკითხვის (კონკურსის) პროცედურაში თქვენს _____
(მიეთითება მოწვევის თარიღი)
მოწვევასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ განზრახული გვაქვს მივიღოთ მონაწილეობა პროცედურაში

და წარმოგიდგინოთ ჩვენი განაცხადი შემდეგი დოკუმენტების მიხედვით:

ა) წინამდებარე განცხადება;

ბ) ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ;

ვადასტურებთ რა, რომ ჩვენ _____ ვეთანხმებით თქვენს
(მონაწილე პირის დასახელება)
მოწვევაში აღნიშნულ ყველა პირობას, ვიღებთ ვალდებულებას გაგიფორმოთ ხელშეკრულება ჩვენს მიერ წარმოდგენილი პირობების შესაბამისად.

წინამდებარე განაცხადი ძალაშია წარმოდგენიდან 30 დღის განმავლობაში

მონაწილე პირის
ხელმძღვანელის ხელმოწერა

დანართი N3

ინფორმაცია ტექნიკური შესაბამისობის, ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამი დღგ-ს ჩათვლით	მიწოდების ვადა

			დღგ-ს ჩათვლით		
	1ლოტი				
1	იზოლატორი ПСВ-160А (146 ს.ს)	2000 ცალი			
2	იზოლატორი ПСВ-70А (146 ს.ს)	1000ცალი			
	2 ლოტი				
1	განმბრჯენი РГ-2-600	324 ცალი			
2	განმბრჯენი РГ-3-600	1000 ცალი			
3	შემაერთებელი დასაწნეხი მომჭერი САС-300-1	100 ცალი			
4	დამჭიმი დასაწნეხი მომჭერი НАС 300-1	60 ცალი			
5	სადენის ვიბროჩამქრობი ГПГ-2,4-13-450/31	150ცალი			
6	გვარლის ვიბროჩამქრობი ГПГ-1.6-11-400/13	300 ცალი			
7	შემაერთებელი ბრტყელი მომჭერი ПС-2-1	118 ცალი			
8	შემაერთებელი ბრტყელი მომჭერი ПА-5-1	150 ცალი			
9	დამამიწებელი მომჭერი ЗПС-70-3	100 ცალი			
10	დამაგრების კვანძი КГ-16-1	20 ცალი			
11	ყუნწი УС-16-20	50 ცალი			
12	ეშვისებრი მომჭერი КС-185	250 ცალი			
	3 ლოტი				
1	სადენზე გადასაადგილებელი კალათა (ლულკა) რუსული წარმოების, გორგოლაჭებს შორის მანძილით 400 -÷600მმ	8 ცალი			
	4 ლოტი				
1	გვარლი Ф 13,5 მმ (гост 7668-80 შესაბამისი)	400 □.			
2	გვარლი Ф 16,5 მმ (гост 7668-80 შესაბამისი)	400 □			
3	ტროსი ТК Ф 18,5 მმ (гост 3064-80 შესაბამისი)	1000 □.			

არაუგვიანეს 25 მარტისა

3 ლოტი. დამატებითი ინფორმაცია.

სადენზე გადასაადგილებელი კალათა (ლულკა) - დანიშნულებასა და პარამეტრებს:

კალათა - 330-500 კვ ელექტროგადამცემი ხაზების გახლეჩილსადენიანი ფაზის სადენებზე ერთი ელექტრომემონტაჟის გადასაადგილებელი მოწყობილობა (ლულკა) ელექტროსამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას.

კალათა უნდა იყოს ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის, სამ წყვილ როლიკებზე საკიდრებით დამაგრებული, სადენების განმბრჯენებსა და დამჭერ მომჭერებზე გადასვლის შესაძლებლობით და აღჭურვილი თითოეული როლიკის სამუხრუჭე მოწყობილობით.

პარამეტრები:

1. ტვირთამწეობა არა უმეტეს - 150 კგ;

2. სადენებს შორის მანძილი - 400-600 მმ;

3. სადენების დიამეტრი: მინიმალური - 11 მმ;

მაქსიმალური - 38 მმ;

4. ფაზაში სადენების რაოდენობა - 2-5 სადენი;



მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს არსებულ სტანდარტებს და თან უნდა ახლდეს: საქონელს წარმოშობის, ხარისხის ან/და შესაბამისობის სერთიფიკატი (დაზუსტდება ხელშეკრულებით). საქონლის ხარისხთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრეტენზიების შემთხვევაში მისი შესაბამისობის დადასტურება არსებულ სტანდარტებთან ეკისრება მიმწოდებელს.

წარმოდგენილი ფასი უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისთვის გასაწევ ყველა ხარჯს ტრანსპორტირება, განბაჟება დღგ, და სხვა. მოთხოვნილი საქონელი უნდა იყოს წარმოებული 2020-2021 წლებში

მასალა-მოწყობილობების მიწოდების ადგილი ქ. თბილისი მარკ ბრონშტეინის N1- N3.